სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ბიუ/ბ7/08/12

ქ. თბილისი „16 " აგვისტო, 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს "საქაერონავიგაცია" (შემდგომში, შემსყიდველი) წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ევგენია მირიანაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ტობე" (შემდგომში, მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ჩირაძის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ქ. ქუთაისში, კოპიტნარის აეროპორტში, შპს „საქაერონავიგაციის" კუთვნილ ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნის და დროებითი გზების მოწყობის სამუშაოების შესრულება. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართი №1-ის სახით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი (CPV) – 45111200.
1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის განკარგულება №1390, 05.07.11 წ.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 29764.71 ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 სამუშაოები ჩაითვლება მიღებულად შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა №2-ისა და ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
3.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გაწეული სამუშაოების შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა №2-ისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, საგადასახადო ანფარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
3.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

4. სამუშაოების შესრულების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება ზემომითითებული თარიღიდან 10 კალენდარული დღით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.1.1. ჰყავდეს წარმომადგენელი მშენებლობის ობიექტზე.
5.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე რისთვისაც გამოყოფს სპეციალურად უფლებამოსილ პირს: ალექსანდრე ფოჩხუა (განვითარებისა და პროექტების მართვის სპეციალისტი). რომელიც წინამდებარე ხელშ კრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს

("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "ე" ქვეპუნქტები).
5.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკურლებით განსაზღვრული ვალდებულებების დროულად და სრული მოცულებით შესრულება.
5.1.4. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. მიიღოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და მოცულობით.
5.2.2. აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწული სამუშაოების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.3.1. მოითხოვოს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
5.4.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დადგენილ ვადებში და ხელშეკრულებით გასაზღვრული პირობების შესაბამისად.
5.4.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწული სამუშაოების ხარისხზე.

6. სამუშაოთა უსაფრთხოება

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებში ჩართული პერსონალის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებულ რისკებს გასწევს მიმწოდებელი.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების ნორმები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა;
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. პასუხისმგებლობა

9.1. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გულგრილი ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად შემსყიდველისათვის და/ან მესამე მხარისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში.
9.2. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში წინამდებარე ხელსეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება სასამართლოში, საქართველო'ში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ზოგადი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.
11.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს "საქაერონავიგაცია"
ქ. თბილისი, აეროპორტი 0198,
ტელ: (+995 32) 2744 227
საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051
სს "ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი REPLGE22
ა/ა GE69BR0000000005467067

შპს "ტობე"
ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის №4
ტელ: 577 78-06-70; 571 55-55-01
ელ. ფოსტა: tobet@bk.ru; tobet@posta.ge;
საიდენტიფიკაციო კოდი: 212817610
სს „თიბისი ბანკი"-ს ქუთაისის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22,
ა/ა GE10TB0300000040467579

შპს „საქაერონავიგაციის"
აღმასრულებელი დირექტორი
ევგენია მირიანაშვილი

შპს "ტობე"-ს
დირექტორი თენგიზ ჩირაძე

ხარჯთაღრიცხვა

ობიექტი: ქ. ქუთაისის (კოპიტნარის) აეროპორტი
სამშენებლო მოედნის მოწყობა

დანართი №1, 2012 წლის 16 აგვისტოს №მომს/37/08/12 ხელშკრულებაზე

№	სამუშოს დასახლება	განზომ.	რაოდენობა	მასალები		ხელფასი		მექანიზმები		სულ
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	ტერიტორიიდან ნაყარი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა 8კმ-ზე	ტ	1296		0		0,0	4,2	5443,2	5443,2
2	ჰუმუსოვანი ფენილის მოჭრა და გატანა ტერიტორიიდან	მ3	266					7,2	1915,2	1915,2
3	ბალასტი ფენის მოწყობა სისქით 20სმ 480მ2-ზე	მ3	96	11	1056	2,2	211,2	5	480	1747,2
4	ღორღის ფენის მოწყობა სისქით 20სმ 1330მ^2-ზე	მ^3	362	20	7240	2,2	796,4	8,8	3185,6	11222,0
5	ტერიტორიის დატკეპვნა ავტო სატკეპნით	მ2	1810					0,5	905,0	905,0
	ჯამი									21232,6
	ზედნადები ხარჯები	10%								2123,26
	ჯამი									23355,9
	გეგმიური დაგროვება	8%								1868,47
	ჯამი									25224,33
	დღგ	18%								4540,38
	ჯამი									29764,71

შპს „ტობე“ — დირექტორი თენგიზ ჩირაძე

შპს „საქაერონავიგაცია“ — აღმასრულებელი დირექტორი ევგენია მირიანაშვილი